საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 12.11.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს თეა ძიმისტარაშვილი?
დიახ (✓) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან მიქაბერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის, კანდიდატის - თეა ძიმისტარაშვილის, წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომლის ფარგლებშიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის N1/141 განკარგულების საფუძველზე შერჩევის პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა თეა ძიმისტარაშვილი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით კანდიდატთა, მათ შორის თეა ძიმისტარაშვილის, შესახებ მოძიებულ იქნა შესაბამისი ინფორმაცია. გარდა ამისა, ამავე ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტების შესაბამისად ჩატარდა კანდიდატების საჯარო მოსმენა.

ზემოაღნიშნული პროცედურების შეჯამების შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნტის შესაბამისად კენჭი უყარა კანდიდატებს საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის მიზნით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინებით საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინა 9 კანდიდატი. 2021 წლის 12 ივლისს კი პარლამენტმა რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე კენჭი უყარა ზემოაღნიშნულ კანდიდატებს, რის შედეგადაც, მხარი დაუჭირა მხოლოდ ექვს კანდიდატს, მათ შორის, რევაზ ნადარაიას, ბიძინა სტურუას, გოჩა აბუსერიძეს, ლაშა ქოჩიაშვილს, გიორგი გოგიაშვილსა და ლევან თევზაძეს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს პარლამენტი ვერ აირჩევს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილ კანდიდატებს, ამავე მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატებად

რეგისტრირებულ პირთა სიაში მითითებული კანდიდატებიდან შეირჩევა იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არსებობს, და ისინი ამავე მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით წარედგინება საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად. შესაბამისად, 2021 წლის 4 ნოემბრის N1/182 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი: <u>თეა ძიმისტარაშვილი</u>, <u>ნინო სანდოძე</u> და <u>თამარ ოქროპირიძე.</u>

ზემოაღნიშნულ კონკურსში რეგისტრირებულ კანდიდატთა, მათ შორის, <u>თეა ძიმისტარაშვილის,</u> სრულფასოვანი შეფასების მიზნით საფუძვლიანად შევისწავლე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის მიერ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია და კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომები. აგრეთვე, 2021 წლის 27 აპრილს <u>თეა ძიმისტარაშვილთან</u> გამართული საჯარო მოსმენის ანალიზის შედეგად გავითვალისწინე კანდიდატის მიერ გამოვლენილი კომპეტენცია, პროფესიული უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები და მივიჩნიე, რომ მას გააჩნია სათანადო პროფესიული გამოცდილება, ქცევა, პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია, კომპეტენცია და ა.შ.. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ <u>თეა ძიმისტარაშვილი</u> ღირსეულად, სათანადო პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად 2021 წლის 12 ნოემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე <u>თეა ძიმისტარაშვილის</u> წარდგენას საქართველოს პარლამენტის წინაშე.

ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

12 ნოემბერი 2021 წელი